აღზრდის სტილის, პიროვნული მახასიათებლების და პერფექციონიზმის მიმართება სოციალურ შფოთვასთან

თინათინ შანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ შანიძე

17.06.202

აბსტრაქტი

სოციალური შფოთვა გავრცელებული ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელიც ხასიათდება ძლიერი შიშით და სოციალური სიტუაციების თავიდან აცილებით, რამაც შეიძლება შეაფერხოს ყოველდღიური ფუნქციონირება და მნიშვნელოვნად იმოქმედოს ცხოვრების ხარისხზე. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს როგორ წინასწარმეტყველებენ აღზრდის სტილები (ავტორიტარული, ავტორიტეტული, ლიბერალური), პიროვნული მახასიათებლები (ექსტრავერსია, ნეიროტიციზმი, თანხმობისადმი მზაობა, გამოცდილებისადმი ღიაობა, კეთილსინდისიერება) და პერფექციონიზმი (საკუთარ თავზე მიმართული, სხვაზე ორიენტირებული, სოციალურად განსაზღვრული) სოციალური შფოთვის დონეს. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 60 წლამდე 180-მა რესპონდენტმა. კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლენილი სოციალურ შფოთვასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლები დაფიქსირდა ლიბერალური აღზრდის სტილთან, ნეიროტიციზმთან, ექსტრავერსიასთან, გამოცდილებისადმი ღიაობასთან, კეთილსინდისიერებასა და სოციალურად განსაზღვრული პერფექციონიზმთან, შესაბამისად, მატი გაანალიზება მოხდა რეგრესიული მოდელის მიხედვით.

რეგრესიის მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა (P<.001). ანალიზის შედეგად, აღნიშნული ცვლადები ერთობლივად სოციალური შფოთვის ქულების ვარიაციას 42.7%-ით ხსნიან. თუმცა გამოცდილებისადმი ღიაობის, კეთილსინდისიერების და ლიბერალური აღზრდის სტილის პრედიქტორული ღირებულებები არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რეგრესიულ მოდელში. ყველაზე მაღალი პრედიქტორული ღირებულება ფიქსირდება ექსტრავერსიის შემთხვევაში, შემდეგ კი ნეიროტიციზმის და სოციალურად განსაზღვრული პერფექციონიზმის. დასკვნები ხაზს ამ სამი ცვლადის მნიშვნელოვან როლს სოციალური შფოთვის პროგნოზირებაში, რაც ვარაუდობს, რომ ეს ფაქტორები უნდა იყოს ფოკუსური წერტილები ინტერვენციებში, რომლებიც მიმართული იქნება სოციალური შფოთვის

შესამცირებლად. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი მიდგომების აუცილებლობას როგორც კვლევაში ისე თერაპიულ გარემოში სოციალური შფოთვის ეფექტურად მოსაგვარებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური შფოთვა, აღზრდის სტილები, პიროვნული მახასიათებლები, პერფექციონიზმი.

Abstract

Social anxiety is a widespread psychological phenomenon characterized by intense fear and avoidance of social situations, which can impair daily functioning and significantly affect the quality of life. This study aims to determine how parenting styles (authoritarian, authoritative, liberal), personality traits (extraversion, neuroticism, agreeableness, openness to experience, conscientiousness), and perfectionism (self-oriented, other-oriented, socially prescribed) predict levels of social anxiety. The research was conducted using a quantitative research method, with 180 respondents participating. According to the correlation analysis, statistically significant associations with social anxiety were found for a liberal parenting style, neuroticism, extraversion, openness to experience, conscientiousness, and socially prescribed perfectionism. Regression analysis revealed that these variables together explain 42.7% of the variation in social anxiety scores. However, the predictive values of openness to experience, conscientiousness, and a liberal parenting style were not statistically significant in the regression model. The conclusions emphasize the significant roles of neuroticism, extraversion, and socially prescribed perfectionism in predicting social anxiety, suggesting that these factors should be focal points in interventions aimed at reducing social anxiety. The study's findings highlight the necessity of comprehensive approaches in both research and therapeutic contexts to effectively address social anxiety.

Key words: Social anxiety, parenting styles, personality traits, perfectionism.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული შრომისა და დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნატა მეფარიშვილს.

ღრმა მადლიერება მინდა გამოვხატო ასევე ჩემი თანაკურსელების მიმართ, გულწრფელი თანადგომისა და მუდმივი მოტივირებისთვის. მათი მხარდაჭერა და ჩართულობა იყო ის, რამაც ნაშრომზე მუშაობის პროცესი სასიამოვნო გახადა.

მადლობას ვუხდი რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის და გამოცდილების გაზიარების შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება.